პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
სამშაბათი
11
თებერვალი
№ 35
(16161)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ხუთწლედი — ვადამდე!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

ყოველი დღე, ყოველი საათი — დამკვრელური!

ᲣᲭᲙᲜᲝᲒᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲒᲐ

ჩვენი ადამიანების ცხოვრებაში არასოდეს დაიჩრდილება იმ სასიხარულო დღის მოგონება, როცა ქვემეხების ზალპებმა გვაცნეს საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გმარჯვება. და აი კიდევ სამი თვე და საბჭოთა ხალხი იზეიმებს ამ დიადი დღესასწაულის 30-ე წლისთავს.

ამ დღეებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ".

ფაშიზმზე გმარჯვება წარუშლელი გმირული ფურცლებია ჩვენი სამშობლოს, ხალხის, მისი არმიის ისტორიაში, საბჭოთა ჯარისკაცის ცხოვრებაში.

აი თითქმის ოცდაათი წელი გავიდა ომის დამთავრებიდან და იმათ, ვინც ბრძოლითა და სისხლით მოგვიპოვა გამარჯვება — ყოფილმა ფრონტელებმა ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინეს მშვიდობის სადიდებლად. მათ სამშობლოს მიწა-წყალი ნაღგრევებისა და უერფლისაგან ალადგინეს და უმაგალითოდ ააღორძინეს სახალელო და თავდადებული შრომით. დიდ სამამულო ომში გმარჯვების 30-ე წლისთავისათვის მზადების დღეებში შეგვიძლია ვუთხრათ გმრეებს, ვინც თავის კერას ვერ დაუბრუნდა, რომ მათი სისხლი ამაოდ არ დაღვრილა, რომ საქმე, რომლისთვისაც მათ სიცოცხლე გასწირეს, დღეგრძელობს და იმარჯვებს.

და, რა თქმა უნდა, რაოდენი სიამაყის გრძნობით არის გამსჭვალული საქართველოს თვითეული მშრომელის გული იმის გამო, რომ ამ დიად გმარჯვებში საბჭოეთის მრავალეროვანი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად მისი შვილების დიდი წვლილიც არის შეტანილი.

„ᲔᲛᲘᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡᲜᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲔᲝᲗᲔᲡᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲨᲠᲝᲜᲔᲑᲡ, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის ზეიმზე თბილისში, — ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲗᲑᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲪᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐᲪ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲬᲘᲗᲘᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲫᲐᲥᲘᲗ ᲛᲝᲡᲘᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲚᲝᲒᲝᲕᲔᲜ ᲓᲐᲚᲣᲚᲣᲚ ᲛᲐᲕᲔᲑᲡ, ᲫᲛᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲒᲚᲝᲒᲝᲕ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲧᲛᲘᲓᲐᲗᲐᲧᲛᲘᲓᲐᲐ. ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲝᲛᲐᲜᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

საბჭოთა ადამიანების გმირობა ხალხმა უკვდავყო საკუთარი ხსოვნით, დიდებული მოგონებებით. ბევრ ქალაქსა და სოფელს, ქუჩასა და მოედანს მიკუთვნებული აქვს გმირთა სახელები. იმათ სადიდებლად, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე, შექმნილია სიმღერები და დაწერილია წიგნები, მათი სახელები გაისმის სალამის შემოწმებისას არმიის ქვეგანაყოფებში, სადაც შეუცვლელი მარჯვენაფლანგელები ში უკვე სამი ათეული წელია უხილავად დგანან საბრძოლო ვახტზე. სამშობლოსათვის დაფერფლილნო გმირობის მაგალითზე იზრდება ჩვენი მომავალი თაობა, ახალგაზრდობა. ისინი მამებისა და ძმების მაგალითზე სწავლობენ პატრიოტიზმს, სამშობლოს, ხალხის სიყვარულს.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მსოფლიოს არცერთ ხალხს არა აქვს ისეთი რევოლუციური წარსული, საბრძოლო და შრომის ტრადიციები, როგორიც ჩვენს ხალხს. ამ დიდებული ტრადიციების გამგრძელებელი ყოველთვის იყო ჩვენი ახალგაზრდობა. კომუნისტური იდეალების ძირითადი მზნებისა და მისწრაფებების ერთობა — აი რა ადუღაბებს თაობებს, რა ალამაზებს და ამშვენიერებს უფროსთა და უმცროსთა ცხოვრებასა და ერთიანობას.

ჩვენმა შვილებმა ნათლად და გასაგებად უნდა იცოდნენ, თუ როგორ დაიცვეს მამებმა, ძმებმა და დედნა ოქტომბრის მონაპოვარი. რა დიდი სისხლისღვრა და ქარტეხილები დაატყდა მათს მშვიდ ცხოვრებას. და ყოველივე ეს უნდა აამაყებდეს მათს მგზნებარე, ახალგაზრდულ გულებს, ალამაზებდეს მათს შრომასა და მოღვაწეობას, აღაფრთოვანებდეს მათ ხუთწლედის ახალი ზღუდეების ასაღებად, ჩვენი გმირული ტრადიციების განსამტკიცებლად.

ის, რაც გაკეთდა სამშობლოს დამცველთა სადიდებად, ცოტა როდია. მაგრამ არ შეგვიძლია დამშვიდებით ვთქვათ, რომ ყველგან, ყოველ ოჯახში, ყოველ სოფელსა და ქალაქში, კოლმეურნეობასა და ქარხანაში უკვდავყოფილია იმ ცოცხალი და დალუპული გმირების სახელები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ფრონტზე, პარტიზანულ რაზმებში, იატაკქვეშეთში თუ ზურგში. რა თქმა უნდა, ყოველთვის მაინც მცირედ მოგვეჩვენება ის, რაც გაგვიკეთებია, ყოველთვის უდიდესი საუკარულითა და მგზნებარებით მოვიგონებთ წარსულს, დიდებით მივმოსავთ გმირთა ხსოვნას, ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ ჩვენი ნათელი დღეების, ულრესი ცისა და მშვიდობისათვის. საბჭოთა არმიისა და ხალხის მჭიდრო მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, დიადი იუბილეს ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშვნისათვის.

უდავოდ ცხადია, ახლა ამ მხრივ დიდი მუშაობა შიმდინარეობს ჩვენს ქალაქებსა და რაიონებში, ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში, სამხედრო ნაწილებში.

ახლა საქართველოს ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში საქართველოს მშრომელები გამარჯვების დღის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და ახალ წარმატებებს აღწევენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებაში. ისინი ხალხის სასიკეთო საქმეთ, გონებითა და მარჯვენით უასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას:

ᲗᲕᲘᲗᲝᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲝᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲣᲗᲘᲡᲣᲚᲘ, ᲐᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲠᲝᲜᲔᲑᲗᲐ.

ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სოფლად და ქალაქად ეწყობა შეხვედრები ომის ვეტერანებთან, საუბრები, ლექციები, მოხსენებები, საღამოები. დიდ სამამულო ომში გმარჯვების 30-ე წლისთავისთვის მზადების პერიოდში რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს მიეძღვნა ბორჯომში ამას წინათ გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. გაცხოველებით შეუდგნენ დიადი თარიღისათვის მზადებას და ენერგიულად მუშაობენ ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექცია, საზოგადოება „ცოდნასთან" არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, ვეტერანთა საბჭოები, თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება, ცალკეული ორგანიზაციები, დაწესებულებები, სკოლები და ა. შ. შეხანიშნავად მოეწყო ფოთის ვეტერანთა საკალაკო შეკრება.

ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენს ხელოვნებაში ერთ-ერთ ადგილს იკავებენ ომისდროინდელ ამბებს, იხსენებენ საბრძოლო ეპიზოდებს. წერილებს გვიგზავნიან უშუალოდ ბრძოლის მონაწილენი, რომლებიც თავიანთ თანამოლეკლებს დაეძებენ და სურთ შეიტყონ თანამებრძოლთა, ახლობელთა ბედი.

ყველა წერილი, ყველა მოგონება თუ ეპიზოდი ერთი აზრით, ერთი ფიქრით, ერთი გრძნობით არის გამსჭვალული: **ᲐᲠᲐᲡᲝᲡᲓᲔᲡ ᲬᲐᲨᲚᲔᲑᲐ ᲘᲒ ᲥᲐᲠᲪᲔᲚᲘᲡᲐᲜ ᲓᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲣᲚᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲯᲣᲠᲕᲚᲘᲗ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜᲘᲜ ᲒᲕᲘᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲒᲕᲘᲯᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲗᲐᲡᲐᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ:

ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ 1975 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲝᲜ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ — 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐᲜ 170 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 70 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ.

ᲔᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ:

- □ — 13 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ,
- □ — 7,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲗᲣᲯᲘ,
- □ — 10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲜᲐᲒᲚᲘᲜᲘ,
- □ — 6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲘ,
- □ — 40 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘ,
- □ — 1 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲒᲘ,
- □ — 300 ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ,
- □ — 50 ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ,
- □ — 5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘ,
- □ — 150 ᲢᲝᲜᲐ ᲙᲐᲠᲑᲝᲚᲐᲥᲢᲐᲛᲘ,
- □ — 6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ,
- □ — 725 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲨᲐᲚᲘᲡ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ,
- □ — 100 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲤᲘᲜᲓᲐ,
- □ — 160 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ,
- □ — 6 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ,
- □ — 1,1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲗᲖᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ,
- □ — ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ 85 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ.

— ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲘᲗᲘ ᲒᲐᲒᲕᲨᲐᲚᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲮᲣᲗᲘᲗᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ, ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲙᲔᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲣᲨᲘᲜ!

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1975 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებებთან, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად აფხაზეთის ასსრ მშრომელებმა 1975 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებები:

სახელმწიფოს მიპყიდონ 58.5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 1.730 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ჩაის დამზადების საერთო მოცულობაში პირველი ხარისხის ხვედრითი წონა სულ ცოტა 69 პროცენტი იქნება. დაამზადებენ 11 ათას ტონა ციტრუსებს, გათვალისწინებულზე 1.536 ტონით მეტს.

სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგურის მეცნიერები წლიურს სოფლის მეურნეობის მშრომელებს გადასცემენ დარაიონებული პერსპექტიული ჯიშების ციტრუსების, ფეიოოის, კაკლოვანთა, ხილისა და სხვა კულტურების 47 ათას ნერგს.

სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკები წარმოებას მისცემენ ეთერზეთოვანთა უხვზეთიანი ჰიბრიდების 200 ათასზე მეტ ნერგს.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი ვალდებულებას კისრულობენ პროდუქციის გამოშვებისა და. რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის და გეგმის გადაჭარბებით გაანაღდონ 5.880 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1,7 პროცენტით.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ 1975 წლის დამლევამდე ქვეყნისა გეგმის გადაჭარბებით მისცენ: 12 ათასი ტონა ქვანახშირი, 3,6 ათასი ტონა კოქსკონცენტრატი, 5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 3 ათასი ცალი გზის ბალონი, 295 ტონა დაფერმენტებული თამბაქო, 300 ტონა პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი, 1.000 ცენტნერი ხორცი და ძეხვეული, 300 ათასი პირობითი ქილა ხილის კონსერვი, 150 ტონა მზესუმზირის ზეთი;

პროდუქციის წარმოების ხარჯებისა და ღირებულების შემცირების გზით 1975 წელს მიიღონ 1.180 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად დაზოგონ 535 ათასი მანეთი, აგრეთვე 750 ტონა სათბობი, მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 55 ათასი კვადრატული დეციმეტრი ხისტი და რბილი ტყავის საქონელი;

რაიონალურატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღონ 590 ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია.

სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 1975 წლის 28 დეკემბრისათვის; დადგენილ დავალებასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1 პროცენტით, მშენებლობის თვითღირებულება შეამცირონ 0,5 პროცენტით. დრანდის სახლსაშენებელი კომბინატის მშენებლობაზე 550 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის დავალება. დაამთავრონ ბზიფის სახლსაშენებელი კომბინატის საწარმოო ბაზის რეკონსტრუქცია და გაფართოება 15 დეკემბრისათვის, ცხრა ბრიგადის მუშაობა მოაწყონ ბრიგადული იჯარის მეთოდით, დროზე შეასრულონ საბინაო მშენებლობის გეგმები. ამასთან უზრუნველყონ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა, სულ ცოტა „კარგი" შეფასებით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ საბინაო ფონდის შეკეთების გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის საწარმოო სამუშაოთა კარგი ხარისხით.

ობიექტების კაპიტალური შეკეთების წლიური გეგმის შესრულება უზრუნველყოს 20 დეკემბრისათვის; ტროლეიბუსებით მგზავრთა გადაყვანის გეგმა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის.

„აფხაზგაზის" საწარმოებისა და სამსახურების კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ ბინების გაზიფიკაციის წლიური გეგმა შეასრულონ 22 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გაზი გაიყვანონ 100 ბინაში.

აფხაზეთის ტრანსპორტის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს:

ავტოტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის, რკინიგზის ტრანსპორტით — 25 დეკემბრისათვის, საზღვაო ტრანსპორტით — 20 დეკემბრისათვის; გეგმის გადაჭარბებით გადაზიდონ 560 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს მუშაკებმა გადწყვიტეს საცალო საქონელბრუნვისა და საზღაფხადობრივი კვების გეგმა შეასრულონ ვადამდე. 30 დეკემბრისათვის და მიიღონ 150 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის გეგმა შეასრულონ ვადამდე 29 დეკემბრისათვის.

გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემის, განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა და სხვებმა.

სურათზე: საბჭოთა კოსმონავტები ალექსი გუბარევი და გიორგი გრეჩკო დედამიწაზე დაშვების შემდეგ.

სკკპსინ. (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲘᲜᲐᲖᲔ

ᲑᲠᲘᲐᲚ მინდორზე, არყის კორომი რომ აკრავს, ალექსეევკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ისკრის" ცენტრალური კარმიდამოდან ცხრა კილომეტრზე ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ, კვირას, დასაშვები აპარატით რბილად დასხდეს „სოიუზ-17" კოსმოსური ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ალექსი ალექსანდრეს-ძე გუბარევი და ბორტინჟინერი გიორგი მიხეილის-ძე გრეჩკო.

ცელინოგრადის აეროპორტში, სადაც მალე ვერტმფრინავით მიიყვანეს კოსმოსის გმირები, მათ მხურვალედ და გულითადად მიესალმნენ მშრომელთა წარმომადგენლები. ა. ა. გუბარევსა და გ. მ. გრეჩკოს მიართვეს ტრადიციული პურ-მარილი. ქალიშვილებმა თაიგულები აჩუქეს. ყაზახეთის კომპარტიის ცელინოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ე. კრეჩინამ ა. ა. გუბარევსა და გ. მ. გრეჩკოს მიულოცა „სალუტ-4" ორბიტული სადგურით ფრენის წარმატებით დამთავრება და რბილად დაჯდომა. მან კოსმონავტებს გადასცა მედალი „ყაზახეთი" და ყამირის ათვისების საიუბილეო წელს მხვნელ-მთესველთა მიერ მოწეული ხორბლის ჭარვისფერი მარცვლით სავსე პატარა ტომრები. კოსმონავტებს ა. ა. გუბარევსა და გ. მ. გრეჩკოს მიეხვეთ ქალაქ ცელინოგრადის საპატიო მოქალაქეთა წოდებანი.

მიმართა რა მეკრებილთ, ეკიპაჟის მეთაურმა ა. ა. გუბარევმა თქვა:

— მოხარული ვართ, რომ კოსმოსიდან დაბრუნებისას ერთ-ერთი პირველნი გვეგებებიან ყამირელები. კოსმოსში დიდი მუშაობა განხორციელდა. ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა მთლიანად შევასრულეთ, თავს კარგად ვგრძნობთ და მზად ვართ ნებისმიერ დავალებათა შესრულებისა.

შემდეგ გამოვიდა ბორტინჟინერი გ. მ. გრეჩკო, რომელმაც გულთბილი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულითადი შეხვედრისა და მასპინძლობისათვის.

კოსმონავტები სხდებიან თვითმფრინავში. იგი სწრაფად მოსწყდა მიწას და ცაში აიჭრა.

Ო. ᲔᲠᲙᲘᲛᲑᲐᲔᲕᲘ,
საკ. ᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲠ.
ᲪᲔᲚᲘᲜᲝᲒᲠᲐᲓᲘ.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ბირმის კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს უ ნე ვინს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის 27-ე წლისთავის გამო.

საპასუხო დეპეშაში უ ნე ვინმა მადლობა გადაიხადა მილოცვისათვის.

ნ. ვ. პოდგორნისა და უ ნე ვინის დეპეშებში გამოთქმულია რწმენა, რომ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება საბჭოთა და ბირმელი ხალხების საკეთილდღეოდ, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

• • •

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ბირმის კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს უ სეინ ვინს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა ეროვნულ დღესასწაულთან ა ნ დამოუკიდებლობის 27-ე წლისთავთან დაკავშირებით.

საპასუხო დეპეშაში უ სეინ ვინმა მადლობა გადაიხადა მილოცვისათვის .(საკ.ფეხი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა მოსკოვში 10 თებერვალს განაახლეს მოლაპარაკება საკითხებზე, რომლებიც ეხება მიწისქვეშა ატომურ აფეთქებებს მშვიდობიანი მიზნებით. ვლადიმერ ტკაჩენკო — საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელმძღვანელთა შეხვედრის დროს, როგორც ცნობილია, დათქმული იყო განეკრძოთ აქტიური იერი ურთიერთმისაღები გადაწყვეტისა აღნიშნულ საკითხებზე. სსრ კავშირის დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს ნ. დ. მოროზოვი, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — უოლტერ ჯ. სტესელი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲣᲙᲐᲠᲘᲜᲘᲡ ლითონების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა შემუშავეს წესი, რომელიც ერთხანევარკერა ზრდის რკინიგზის რელსების ხანგამძლეობას. წარმოების მუშაკთა შეკვეთით შემუშავებულია ფოლადის გამოდნობის ტექნოლოგია, რომელმაც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესა ნაგლინის მექანიკური თვისებები. მზა რელსებს აწრთობენ მაღალი სიხშირის დენით, რაც მათ მეტ სიმტკიცეს ანიჭებს.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

„ᲡᲐᲚᲣᲢᲘ-4" ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1975 წლის 9 თებერვალს 14 საათსა და 08 წუთზე მოსკოვის დროით „სალუტ-4" კილოტონიანებულ სამეცნიერო სადგურსა და „სოიუზ-17" სატრანსპორტო ხომალდში კვლევის 30-დღიანი პროგრამის შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ალექსი ალექსანდრეს-ძე გუბარევი და გიორგი მიხეილის-ძე გრეჩკო დედამიწაზე დაბრუნდნენ.

„სოიუზ-17" სატრანსპორტო ხომალდის დასაშვები აპარატი დედამიწაზე დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში 110 კილომეტრზე ქალაქ ცელინოგრადის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

დედამიწაზე დასაშვებად მომზადების დროს კოსმონავტებმა „სოიუზ-17" სატრანსპორტო ხომალდში გადაიტანეს მეცნიერული კვლევის მასალები, ფოტო და კინოფირის კასეტები, საბორტო ჟურნალები, რის შემდეგ დახურეს შიდა საძრომი ლუკი.

9 საათსა და 08 წუთზე მოსკო

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

უპასუხეგდეს ცხოვრების რიტმს

უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა კულტურული მოთხოვნილებანი

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. კალანდარიშვილმა.

მოხსენება „რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი“, აქტივის კრებაზე გააკეთა რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი ი. ქეცბა, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გ. თოთიბაძე, თბილისის საქალაქო საბჭის აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ც. ქოჩერაშვილი, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ღლონტი, ახალციხის რაიონმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ე. კოპაძე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი ა. ბაქრაძე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პარტბიუროს მდივანი ვ. გოგოლაშვილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. გაბუნია, შარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი რ. თვარაძე.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

აქტივის კრებაზე აღინიშნა ქართული კულტურის მუშაკთა ის დიდი შემოქმედებითი და შრომითი აღმავლობა, რაც გამოიწვიე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შესრულების კონტროლისა და შემოწმების სისტემის სრულყოფის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებმა, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

ახლა, როცა რესპუბლიკაში წყდება დიდი სოციალური მნიშვნელობის პრობლემები, როცა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები მტკიცედ იბრძვიან მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის მუშაკებმა თანაგრძნობით უნდა უზრუნველყონ პარტიის დიად წინასწარდასახულობათა შესრულება.

ამასთან, აღინიშნეს აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილეებმა, კულტურის ყველა მუშაკმა როდი დათმო ნეიტრალიტეტის, ჩაურეველობის პოზიციები, რომლებსაც ისინი ადგნენ მრავალი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენების მიმართ.

კრებაზე აღინიშნა, რომ მომხსენებელმა და კამათის ზოგიერთმა მონაწილემ ვერ შეძლეს ღრმად გაანალიზებინათ რესპუბლიკის კულტურულ ფრონტზე საქმის მდგომარეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, გამოვლინებინათ და ყოველმხრივ გარკვეულიყვნენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებში.

აქტივის მონაწილეებმა მთელი სერიოზულობით დააყენეს საკითხი, რომ კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა თანამედროვე თემატიკაზე ახალი ნაწარმოებების შექმნისათვის, რომლებიც სრულად ასახავენ საბჭოთა ხალხის, საქართველოს მშრომელთა ცხოვრების მძლავრ რიტმს.

კულტურის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

(საქინფორმი).

მოსავლისათვის ბრძოლის ახალი ფრონტები

„საქსოფლტექნიკის“ მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ მექანიზატორებმა.

ვრცელია ამ სახელმწიფო ორგანიზაციის საქმიანობის სფერო. მის წარმოებათა და ქვეგანყოფილებათა კოლექტივების შეწყობილ მუშაობაზე, მათი ხელმძღვანელობის დონეზეა დამოკიდებული, მზად არის თუ არა ტექნიკა ექსპლოატაციისათვის, მანქანებისა და მექანიზმების დიდი მწარმოებლობა და მათ შესაძლებლობათა სრული გამოყენება, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების კომპლექსური მექანიზაცია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, მინერალური სასუქებით, სხვა სამუშაოთა შესრულება. ეს საკითხები იყო „საქსოფლტექნიკის“ სისტემის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში, კრებაზე გაერთიანების თავმჯდომარემ დ. ხარაშვილმა გააკეთა მოხსენება 1974 წლის მუშაობის შედეგებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მისადმი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის მუშაკებმა შთაგონებით უნდა უზრუნველყონ პარტიის დიად წინასწარდასახულობათა შესრულება.

ამასთან, აღინიშნეს აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილეებმა, კულტურის ყველა მუშაკმა როდი დათმო ნეიტრალიტეტის, ჩაურეველობის პოზიციები, რომლებსაც ისინი ადგნენ მრავალი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენების მიმართ.

კრებაზე აღინიშნა, რომ მომხსენებელმა და კამათის ზოგიერთმა მონაწილემ ვერ შეძლეს ღრმად გაანალიზებინათ რესპუბლიკის კულტურულ ფრონტზე საქმის მდგომარეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, გამოვლინებინათ და ყოველმხრივ გარკვეულიყვნენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებში.

აქტივის მონაწილეებმა მთელი სერიოზულობით დააყენეს საკითხი, რომ კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა თანამედროვე თემატიკაზე ახალი ნაწარმოებების შექმნისათვის, რომლებიც სრულად ასახავენ საბჭოთა ხალხის, საქართველოს მშრომელთა ცხოვრების მძლავრ რიტმს.

კულტურის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

(საქინფორმი).

მათი დიდი გმირობა

ფრენა დამთავრდა, პროგრამა შესრულდა

„სალუტ-4“ სადგურის ეკიპაჟის მუშაობის შესახებ საკდესის მიმმხილველს ესაუბრა „სალუტ-3“ სადგურის ყოფილი მეთაური ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი.

— უწინარეს ყოვლისა სულითა და გულით მინდა მივულოცო ალექსი გუბარევსა და გიორგი გრეჩკოს ფრენის რთული და პასუხსაგები პროგრამის წარმატებით შესრულება და მშობლიურ დედამიწაზე ჩამოსვლა. ოცდაათი დღე ეს არის ადამიანური და მეცნიერული გმირობა. მუუხედავად ამისა, ბუნებრივია, რომ კოსმოსური მოგზაურობის ვადები საჭიროების შემთხვევაში სულ უფრო გადიდდება. ამას მოითხოვენ კოსმოსის ღრმა კვლევის, კაცობრიობის სამეცნიერო და გამოყენებითი საჭიროებისათვის მისი გამოყენების ამოცანები.

შემთხვევითი როდია, რომ „სალუტის“ ტიპის სადგურებს სამეცნიერო სადგურები უწოდეს. „სოიუზ-სალუტის“ კომპლექსის ბორტზე განლაგებული ორი ათასზე მეტი სხვადასხვა ხელსაწყო, მარტო სამეცნიერო ხელსაწყოების საერთო წონა ორ ტონას აღწევს. კოსმოსური ლაბორატორიის ხელსაწყოებისა და ექსპერიმენტების მრავალფეროვნება, მათი უნიკალობა ბევრ დედამიწის ლაბორატორიასაც კი შეშურდება. მიღწეულის მოკლე მიმოხილვაც კი გვაძლევს წარმოდგენას, თუ რა დიდი მოცულობის მეცნიერული და ტექნიკური კვლევა შესრულა „სალუტ-4“ სადგურის ეკიპაჟმა, თანაც ჩვენი მეგობრისათვის დამახასიათებელი საქმის ჩინებული ცოდნით, შემოქმედებითი მგზნებარებით.

სადგურში არსებულმა რენტგენულ- და მზის ტელესკოპებმა საუალება მისცათ მოეწყოთ ასტროფიზიკური კვლევის ციკლი, რაც მნიშვნელოვან სამეცნიერო ინტერეს წარმოადგენს.

სპექტროგრაფიანი მზის ტელესკოპის და დიფრაქციულ სპექტრომეტრის საშუალებით სპექტრის ულტრაიისფერ დიაპაზონში სწავლობდნენ ყველაზე დამახასიათებელ წარმონაქმნებს მზის ზედაპირზე და ატმოსფეროში, აგრეთვე მნათობის მთელი დისკოს ინტენსივობას. კოსმონავტები აკვირდებოდნენ სატურნის პლანეტას ინფრაწითელ დიაპაზონში, მთელი რიგი სხვა ციური სხეულების გამოსხივებას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტის დროს მიღებული ეს მთელი ინფორმაცია აღებულია ფირზე. გარდა ამისა, ტელევიზიური არხით იგი გადმოსცეს დედამიწაზე. ამისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ეკიპაჟის მუშაობის ზოგიერთი მასშტაბი სახალხო-სამეურნეო მიზნით კოსმოსის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებულ მეცნიერებათა დარგში, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

განვლილი ფრენის დროს კოსმონავტებმა შეისწავლეს დედამიწის ზედა ატმოსფერო, გაზომეს მისი ტემპერატურა, ნეიტრალური გაზის, პლაზმის მახასიათებლები, გამოიკვლიეს დედამიწის გამოსხივება სპექტრის ინფრაწითელ ნაწილში. მიღებული მონაცემები წვლილია მეცნიერებაში, რომელიც დაეხმარება მეცნიერებს, მაგალითად, უფრო საიმედოდ დააპროგნოზონ ამინდი.

ატმოსფეროს სიწმინდის შენარჩუნების პრობლემა გლობალური პრობლემად გახდა. კაცობრობა ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს, რათა შეაჩეროს მისი გაჭუჭყიანების პროცესი. ამ საქმეში კოსმოსი უკვე ახლა არის დედამიწელთა კარგი თანაშემწე. ალექსი გუბარევმა და გიორგი გრეჩკომ განსაზღვრეს ატმოსფეროს გამჭვირვალობა სპექტრის ულტრაიისფერ და ინფრაწითელ დიაპაზონებში. ამასთან ირკვეოდნენ, თუ რამდენად გაჯერებულია ატმოსფერო დედამიწის ზედაპირზე ოზონითა და წყლის ორთქლით სხვადასხვა სიმაღლეზე.

არაერთხელ თქმულა, რომ კოსმონავტები მარტო მკლევარები კი არა, არამედ თვითონაც გამოსაკვლევი არიან. და ეს ბუნებრივია. პილოტირებული კოსმოსური ფრენის ერას ჯერ კიდევ თხუთმეტი წელიც არ შესრულებია. პრინციპიულად დამტკიცებულია, რომ ადამიანს კოსმოსში ხანგრძლივი დროით შეუძლია იცხოვროს და იმუშაოს. მაგრამ რამდენ ხანს! ამაზე პასუხის გაცემა არავის არ შეუძლია. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომლებიც კოსმოსში ადამიანის საქმიანობის შესაძლებლობებს განსაზღვრავენ, უწონობის არსის, ცოცხალი ორგანიზმზე მისი ზემოქმედების შეცნობაა. ამისათვის ალექსი გუბარევი და გიორგი გრეჩკო აწარმოებდნენ გულისა და სისხლძარღვების სისტემის კვლევას დოზირებული ფიზიკური დატვირთვისა და სპეციალური ვაკუუმური კოსტიუმის გამოყენებით. ამავე მიზანს ისახავდა ელექტროკარდიოლოგიური კვლევა, ორგანიზმის ვესტიბულარული რეაქციის შეფასება მბრუნავი სავარძლის გამოყენებით. კოსმონავტები ამოწმებდნენ ორგანიზმში სისხლის განაწილებაზე უწონობის გავლენას, აგრეთვე მთელი რიგი საშუალებების ეფექტიანობას, რომლებიც გამოიყენება ამ არასასურველი მოვლენის პროფილაქტიკისათვის. ელექტრობგერების მეთოდების დახმარებით წარმოებდა დაკვირვება ცვლილებებისადმი, რომლებიც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ხანგრძლივი ფრენის დროს ადამიანის ძვლის ქსოვილებში, და, კარგოდ, მის სიმკვრივეში.

ბიოლოგები მიიღებენ პასუხს კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ გრძნობდნენ თავს კოსმოსურ პირობებში სპეციალურ კულტივატორში მოთავსებული მიკროორგანიზმები, მწერები, უმაღლესი მცენარეები, მათ შორის ბარდის „პლანტაცია“. კოსმონავტები არა მარტო აკვირდებოდნენ თავიანთ მწვანე მეგობრებს, არამედ აწარმოებდნენ კინოგადაღებებს, რითაც აღბეჭდავდნენ მცენარეთა ზრდისა და განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს.

მაგრამ, რა თქმა უნდა, კოსმონავტებს ბევრ კითხვას დაუსვამენ უწინარეს ყოვლისა ხომალდმშენებლები — ორბიტული სადგურის შემოქმედნი, უნიკალური სამეცნიერო აპარატურის კონსტრუქტორები. ყველამ უნდა იცოდეს, თუ როგორ მოქმედებდა ფრენის დროს მათი პირმშო, რა უნდა გაკეთდეს, რათა იგი უფრო დაიხვეწოს. ამას დიდი მნიშვნელობა მარტო ამ სადგურისათვის როდი აქვს. თითქმის ყოველ სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელიც კოსმოსში მიდის, საფრენი აპარატის ბორტზე არის ის, რაც პირველად მუშავდება, მზადდება ხვალისათვის. მაგალითად, პროგრამის შესაბამისად, სცდიდნენ ავტონომიური ნავიგაციის მეთოდს. „დელტის“ სისტემა შეიცავდა საბორტო გამოსათვლელ მანქანას, რომლის საშუალებით შეიძლება სწრაფად მიეწყოს სანავიგაციო გაზომვები, განისაზღვროს და დაპროგნოზდეს სადგურის ორბიტები დედამიწისზედა საშუალებათა გამოუყენებლად. ამგვარ სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი ფრენისათვის. ამ მიზნით მოწმდებოდა სადგურის სხვადასხვა ქვესისტემა, რომელიც სიცოცხლის უზრუნველყოფის კომპლექსში შედიან. ჩემი აზრით, მეტად სასარგებლო იყო ტელესკოპის მთავარი სარკის „შეკეთების“ საწარმოო ოპერაციაც. საქმე ის არის, რომ კოსმოსური ფაქტორები იწვევენ სარკის გაბუნდოვნებას, რაც აუარესებს ციური ობიექტების ხილვადობას. როცა ახალ ხესაწყოს იყენებდნენ, ალექსი გუბარევმა და გიორგი გრეჩკომ პირველად პრაქტიკაში სარკის ზედაპირი დაფარეს ალუმინის ახალი ფენით და ამით მთლიანად აღადგინეს მისი ამრეკლავი თვისებები.

მე შევხვდი, თანაც ასე მოკლედ, იკიპაჟის მიერ გაწეული მუშაობის მხოლოდ რამდენიმე ფაქტს. მეცნიერული და ტექნიკური ექსპერიმენტების შედეგებს შეაჯამებენ მეცნიერები და სპეციალისტები. დასასრულ ვიტყვი, ამაში დამარწმუნა ჩვენმა მუშაობამაც იური არტიუხინთან ერთად „სალუტ-3“ სადგურში, რომ ორბიტული ხანგრძლივი სამეცნიერო სადგურები ჩინებული სამეცნიერო ლაბორატორიებია კოსმოსის შესწავლისა და ათვისებისათვის. მათ ეკუთვნით მომავალი.

ა. რომანოვი.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-17“-ის მეთაური ალექსი გუბარევი.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-17“-ის ბორტინჟინერი გიორგი გრეჩკო.

დედამიწაზე დაბრუნება

ატომური რეაქციის მდგომარეობაში მოჰყავთ სადგურის სისტემები. როგორც კარგ პატრონებს შეეფერებათ, კოსმონავტებმა საფუძვლიანად დაალაგეს სადგური, აიღეს მტვერი მტვერსასრუტით, გაწმინდეს პულტებისა და ხელსაწყოების პანელები. შემდეგ კი რუსული ჩვეულებისამებრ ცოტა ხნით ჩამოსხდნენ გამომზავრების წინ.

მაშ ასე, მეცნიერული და სპინჟინერო ბარი მზად არის დედამიწაზე დასაშვებად, ფრენის ხელმძღვანელებს, წამყვან კონსტრუქტორებს, მეცნიერებს ვთხოვთ ეამბნათ, თუ რას შეიცავს ეს ბარი, და შეეჯამებინათ ექსპედიციის პირველი შედეგები.

მართვის ცენტრის ხელმძღვანელები აღნიშნავენ პროგრამის შესრულებისათვის პასუხისმგებელი ყველა სამსახურის განსაკუთრებით შეთანხმებულ მუშაობას.

მადლიერების პირველი სიტყვები ეკუთვნით თვით კოსმონავტებსა და მათს დამრიგებლებს. მომზადების ცენტრში. ექსპერიმენტდგან ექსპერიმენტამდე აქ კოსმოსური ტექნიკის დამუშავებელ ინჟინრებთან ერთად უმჯობესდება ინვიანი პროფესიის ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, რომელშიც შესამჩნეულია უნივერსალური ცოდნა და ვაკეაცობა, განსაკუთრებული შრომისუნარიანობა და სამშობლოს წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

— ჩვენი „სალუტები“ განუწყვეტლივ სრულყოფილი ხდება, — აშბობს ერთ-ერთი წამყვანი დამმუშავებელი და კონსტრუქტორი პროფესორი კ. პ. ფეოკტისტოვი. — მეცნიერული ექსპერიმენტებით ასეთი მდიდარი ფრენის დროსაც კი, ბუნებრივია, უარი ვერ ვთქვით ახალი საინჟინრო სისტემების გამოცდაზე.

ცხოვრება გვაიძულებს ვეძებოთ ორბიტაზე კოსმონავტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერული მოწყობილობის მაქსიმალური უკუგების ახალი გზები. ამ თვალსაზრისით ახლანდელი ექსპერიმენტი განსაკუთრებულია. წარმატებით ჩაიარა ხანგრძლივი ორიენტაციისა და ავტონომიური ნავიგაციის ექსპერიმენტული ავტომატური სისტემების გამოცდამ. გულმოდგინედ ვსწავლობდით სადგურის გარემომცველ სივრცეს, რომლის ცოდნაც საჭიროა როგორც კოსმოსური. აპარატების სრულყოფისათვის, ისე ღია კოსმოსში სამეცნიერო მოწყობილობის სწორი ექსპლოატაციისთვისაც.

— თუ მეცნიერებმა ჯერ კიდევ დიდხანს და გულმოდგინედ უნდა დაამუშაონ მეცნიერული დაკვირვების შედეგები, ჩვენთვის ახლაც ცხადია, რომ სადგურის ყველა უმნიშვნელოვანესი სისტემა საიმედოდ მუშაობს, — თქვა შემდეგ კ. პ. ფეოკტისტოვმა — ჩვენ გაგვახარა, კერძოდ, მაღალმა შეფასებამ, რომელიც კოსმონავტებმა მისცეს მიახლოებისა და შეჭიროაპირების სისტემებს. ეს აგრეგატები, ისევე როგორც მართვის სხვა სისტემები, მუშაობდნენ სათბობის მინიმალური დანახარჯებით, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ორბიტული სამეცნიერო ლაბორატორიების შესაძლებლობებს.

„სალუტ-4“ ეკიპაჟის მუშაობა უმაღლესი შეფასების ღირსია, — თქვა ბატონ ალექსეი ლეონოვმა, — ეს ექსპერიმენტი ბევრ ინფორმაციას მოგვცემს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებაზე, ადამიანის ორგანიზმზე, ადამიანის ფიზიკურ ბუნებაზე.

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲕᲔᲠᲣ: მᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲓᲐ

ლᲘᲛᲐ, 10 თებერვალი. (საკდესი). პერუში ჩაიფუშა რეაქციისა და კონტრრევოლუციური ელემენტების მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები.

პერუს ხელისუფალთა გადამწყვეტი ღონისძიებების შედეგად რეპუბლიკის დედაქალაქში სავსებით ლაკვიდირებულია არეულობა, მდგომარეობა მოწესრიგდა. ნვეულებრივად მეშაობენ საწარმოები, დაწესებულებები, მაღაზიები, დედაქალაქის აეროპორტი, მოსახლეობას უზრუნველყოფენ სურსათ-სანოვაგით. ელექტროენერგიით, მუშაობს საქალაქო ტრანსპორტი, რეგულარულად გადიდის გაზეთები, მათ შორის ის გაზეთებიც, რომელთა შენობანი დაარბიეს კონტრრევოლუციონერებისა და მათი დამქაშების გამოხდომების დროს.

დედაქალაქის პრესა და რადიო კვლავ აქტიურობენ და გადასცემენ მასობრივ ორგანიზაციათა განცხადებებს, რომელებშიც დაგმობილია რეაქციის გამოხდომები.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობა, სახოგადოებრივი ორგანიზაციები იღებენ წერილებს ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, რომელებიც სოლიდარობას უცხადებენ და გმობენ რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალების ცდებს, რომ ხელი შეუშალონ რევოლუციური სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს ქვეყანაში.

პრესაში მოყვანილია მონაცემები იმის შესახებ, თუ რა მატერიალური ზარალი მიაყენეს მაღაზიებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, სახოგადოებრივი ორგანიზაციების შენობებს, ტრანსპორტს.

ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲑᲐᲒᲓᲐᲓᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ერაყის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 8 თებერვალს დილით ირანის ჯარებმა დაარღვიეს ერაყის საზღვარი ვასიტის პროვინციის ბადრის რაიონში და არტილერიიდა და ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ერაყის საგუშაგოებს, რის შედეგადაც მოკლულია ერაყელი მესაზღვრე, რამდენიმე კაცი დაიჭრა. ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლითვე უპასუხეს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სასაზღვრო შეტაკებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ირანს.

თᲔᲘᲠᲐᲜᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). მთავრობის პარსის საგაზეთო იუწყება, რომ ერაყის ჯარებმა 8 თებერვალს დილით საარტილერიო ქვემეხების, ნაღმსატყორცნებისა და სასროლო იარაღის ცეცხლი დაუშინეს ირანის სასაზღვრო საგუშაგოებს ქალაქ მეჰრანის მახლობლად. ერაყის არმიის ქვეგანაყოფებმა, ნათქვამია ცნობაში, მთელ რიგ ადგილებში სცადეს შეაღწიონ ირანის ტერიტორიაზე, მაგრამ კონტრიერიშით მოიგერიეს ირანის სასაზღვრო ნაწილებმა. მომდევნო დღე-ღამის მანძილზე სროლა რამდენჯერმე განახლდა.

ირანის მხარეს აღნიშნავს საგაზეთო, ზარალი არ მოსვლია.

Ე. ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის მოუწოდა მთავრობას თვალსაჩინო სენატორმა ე. კენედიმ (დემოკრატი, მასაჩუსეტსის შტატიდან). მექსიკის ტელევიზიის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ კუბის დიპლომატიური და ეკონომიური იზოლაციის განგრძობა მიაჩნია „შეცდომად“, „ცივი ომის“ სულისკვეთებით გამსჭვალულ პოლიტიკად.

კუბის იზოლაცია, აღნიშნა სენატორმა, არაფექტიანი აღმოჩნდა. შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან ერთად პატივისცემით უნდა მოკიდოს კუბაში არსებულ წესწყობილებას და მოგვაროს ამ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა.

კენედიმ გააკრიტიკა რეპრესიებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის პოლიტიკა, რომელსაც ჩილეს სამხედრო ხუნტა ეწევა. მან აღნიშნა, რომ სწორად მიაჩნია ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება შეეწყვეტოს სამხედრო დახმარების მიცემა ჩილეს, რადგან პინოჩეტის რეჟიმი უხეშად არღვევს მოქალაქეობრივ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲘᲐᲕᲐᲖᲔ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ. 10 თებერვალი. (საკდესი). ძლიერი მიწისძვრა ბიძგები რეგისტრირებულია გასულ კვირას დასავლეთ იავაზე. მიწისძვრის შედეგად სუკაბუმის ოლქის ასობით მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა, დარღვეულია საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა ადგილობრივ მაგისტრალებზე, დანგრეულია ელექტროგადამცემი ხაზები. მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

საკდესი და უცხოეთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

ᲒᲛᲝᲒᲔᲑᲘ ᲩᲘᲚᲔᲡ ᲮᲣᲜᲢᲐᲡ

**რᲘᲩᲛᲝᲜᲓᲘ-ᲤᲝᲠᲔᲡᲢᲘ, ილინოისის შტატი, 10 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). „ძირს ფაშისტური ხუნტა!“, „ჩვენ შეგვიძლია ბოიკოტი გამოვუცხადოთ ჩილეს მხედრიონს“ — ნათქვამია ჩიკაგოს გარეუბანში პედაგოგიური კოლეჯის „კონკორდიას“ აუდიტორიებში გაკრულ პლაკატებზე. აქ მიმდინარეობს ჩილესადმი ხოლიდარობის მეორე ეროვნული კონფერენცია.

ორგანიზაცია „ჩილეს ანტიფაშისტური წინააღმდეგობის“ წარმომადგენელი ხ. ინსულია კონფერენციის ტრიბუნიდან ხაზს უსვამს ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის საერთაშორისო კამპანიის დიდ მნიშვნელობას. იზოლაცია, რომელშიც ფაშისტური ხუნტა აღმოჩნდა მის ბორტმოქმედებათა ფართო საერთაშორისო დაგმობის შედეგად, ამბობს ორატორი, აიძულებს ხუნტას შიშით შეჰყურებდეს თავის მომავალს.

ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის პროფესორმა, მოსკოვის მშვიდობისმოყვარე ძალების კონგრესის მონაწილემ გ. გრანტმა ყველა რწმენისა და პოლიტიკური შეხედულების ამერიკელებს მოუწოდა გაერთიანდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფერენციის თავმჯდომარემ, ხოლიდა და საკონსერვო მრეწველობისა და სასაკლაოების მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ე. ფეინგლსმა აღნიშნა: ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ბოლო მოუღოს ფაშისტებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევას, მიაღწიოს დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას ჩილეში.

კონფერენციის მუშაობის პირველი დღის დასასრულს მისმა მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეგროვონ მომდინარე წლის სექტემბრისათვის 500 ათასი ხელმოწერა მოწოდებაზე ჩილეში ადამიანის უფლებათა დასაცავად და გადასცენ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიას.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ. ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. 10 თებერვალი. (საკდესი). ჩვენ კმაყოფილი ვართ პროგრესის გამო, რომელიც მიღწეულია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ესენბელმა პარლამენტში. თურქეთი, ხაზი გაუსვა მან, ესწრაფვის სსრ კავშირთან ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ამ მტკიცე საფუძველზე, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

შეეხო რა თურქეთის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მიმართ, მ. ესენბელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მოითხოვს ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებას და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფას.

ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲙᲐ

ᲙᲐᲘᲣᲢᲐ—5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გახსოვთ ინგლისური ხოკეანო ლაინერის „ელიზაბეტის“ ამბავი? როცა ხელსაყრელი ადარ იყო მისი ექსპლოატაცია ზღვის სივრცეებში, მფლობელებმა ლაინერი მიჰყიდეს ფხიან ამერიკელ საქმოსნებს, რომლებმაც ხომალდზე მცურავი სასტუმრო მოაწყვეს.

როგორც ჩანს, ანალოგიური ბედი მოელის ამერიკის სამგზავრო ფლოტის ამასწინანდელ ფლაგმანს ლაინერ „იუნაიტედ სტეიტსს“. ამერიკის შეერთებული შტატების ხაზოვან უწყება, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში დამარგალეტული ჰყავდა ლაინერი, ითხოვდა გაეყიდა იგი 18 მილიონ დოლარად. მყიდველია ვირჯინიის შტატის კომპანია „ვენჩერსი“, რომელიც აპირებს გადააქციოს გემი „მცურავ კოოპერაციულ სახლად „ძალიან, ძალიან მდიდარ კლიენტებისათვის“. ყველაზე სადა კიუტა ეღირება 650 ათასი დოლარი, რვაოთახიანი კიუტა — ლუქსი —5,2 მილიონი დოლარი.

„ᲛᲝᲪᲘᲙᲥᲐᲕᲘ Ш ᲕᲐ“ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ. 10 წელზე მეტ ხანს ეძებდნენ ქანდაკებას „მოცეკვავე შივას“, რომელიც სამხრეთ ინდოეთის ტამილნადუს შტატის შივაგურუნადასვამის ტაძრიდან გაიტაცეს. დ მოულოდნელად მოვიდა ცნობა — ქანდაკება ნაპოვნია, იგი „ინახება ლონდონის „კუტს ბენჯში“. როგორ მოხვდა „მოცეკვავე შივა“ ბრიტანეთის კუნძულებზე? მან განვლო ინდური ხელოვნების ბევრი ნაწარმოებისათვის „ტრადიციული“ გზა — მოიპარეს ტაძრიდან, არალეგალურად გაიტანეს ქვეყნიდან. როგორც ამბობენ, ქანდაკება „იეუთვნია“ ამერიკელ კოლექციონერს რომელმაც შესანახად მიაბარა ლონდონის ბანკს.

ცნობის მიღებისთანავე ინდოელი მეცნიერები ჩავიდნენ ლონდონში. მათ დაადასტურეს, რომ ბანკში ინახება ნამდვილი „მოცეკვავე შივა“, რომელიც 10 წელზე მეტი ხნის წინათ მოიპარეს ქვეყნიდან. ინდოეთის მთავრობამ მოითხოვა ქანდაკების დაბრუნება (საკდესი).

№ 1 ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲑᲘ

უზარმაზარი ატომური ხოკო გადაეფარა ხიროსიმის ცას. მიწა ნანგრევებსა და დამხვრეულ-აგურის ზვავებს დაუფარავს. ყველგან ადამიანთა გვამები ხანძართა ფონზე ხელაპყრობილი შველას ითხოვენ გადარჩენილი ადამიანები. ასეთი იქნება უზარმაზარი ბომბი, რომელსაც ქმნის იაპონელი მხატვარი იოუნ ტაკაბატაკე.

პანოს დაერქმევა „№ 1 ატომური ბომბი“, თქვა ი. ტაკაბატაკემ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. ეს ჩემი უკანასკნელი ნამუშევარია ატომური დაბომბვის შესახებ ნაწარმოებთა სერიიდან. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე უკვე შევქმენი ხუთი ნაწარმოები ამ თემაზე.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვახსენებდე ადამიანებს ატომური დაბომბვის საშინელებას, თქვა მხატვარმა, რადგან თვითონ განვიცადე ეს ტრაგედია. 1945 წლის აგვისტოში, როცა ხიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდეს, ამ ქალაქში ვიყავი, ამიტომ ეს თემა ესოდენ ახლობელია ჩემთვის.

მონუმენტური ფერწერის 50 წლის ხელოვანი, რომელიც ოსაკაში ცხოვრობს, ვარაუდობს 10 მარტისათვის დაამთავროს ფრესკა. ამ დღეს ფუკუოკაში გაიმართება მემორიალური ცერემონია ატომური ბომბის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად და ი. ტაკაბატაკე აპირებს იქ წარმოადგინოს თავისი ომისწინააღმდეგო პანო.

ᲐᲯᲐᲜᲣᲚᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ბერძენთა პრომეთე თუ ჩვენი ამირანი, ურარტუელთა მთავარე თუ თაბალ-მოსოხის წარმართული ლოცვა, ძველი რომი და მის მიერ შელეწილი პონტო თუ კაპადოკია, ჯორდანო ბრუნო და ბიჭი გავროში, ნისლი, დემოთის ციხეს რომ ეხვია ცხრამეტი საუკუნის წინათ, პირველი გუთნისდედა, პირველი მწყემსი და პირველი მგსალამურე, უძველეს ფრესკაზე გამოხატული ნათელმოსილი ყრმა დედის კალთაში, ქამთაალმწერელი თე აბჯარასხმული მეომარი, აქილეესის ფარი თუ ამორძალის მიერ ნასროლი შუბი თერმოდონტის ან ფაზისის სანაპიროებზე, გოლგოთა თუ ბაბილონის გოდოლი, და კიდევ რა ჩამოთვლის ათასწლეულებისა და საუკუნეების ამ აბურდულ სიზმრებს, ისტორიულსა თუ ლეგენდურ-მითურ სახეებსა და სახელებს, მოჩვენებებივით რომ გაიელვებენ და კაცთა მოდგმის ხსოვნიდან არ მდიან— ყველაფერი ეს თაობიდან თაობას გადასდევს როგორც ჩვენში, ისე მთელ მსოფლიო პოეზიაში. ეს ასეა ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზე, ასეა დასაბამიდან, თვით იმ უსსოვარი დროიდან, ზარათუშტრას ჰიმნებში ხარი რომ შეპბღაოდა ზეცას და კაცის უდავრობას უჩიოდა, და აქნებ იმდროინდელია ქართული ხალხური ლექსიც — „ის ურჯული გუთნისდედა, ქვეშ-ქვეშ გამოიყურება, იმას არ ეტყვის მეხრესა, უდავრობა არ იქნება“... გადადიოდნენ ეს სახეები საუკუნიდან საუკუნეში და მათი შემნახველი, მათი გადამრჩენი მარტო მატიანე კი არა, უპირველეს ყოვლისა პოეზია იყო. ასე იყო ძველთა, მერე მეცხრამეტე საუკუნეში, ასეა ახლაც, ჩვენს ეპოქაში.

დიდი ხანია ტრიალებენ ეს სახეები პოეზიაში, მაგრამ ხშირად ძალიან ხშირად, ამა თუ იმ პოეტის ლექსში, მთელ ამ ისტორიულსა და მითოლოგიურ ინვენტარს ნაფტალინის სუნი დაჰკრავს, იმ მტვრისა და ნაცრის სუნი ასდის, დროთა ვითარებას რომ დაუყრია მისთვის. ასეთ შემთხვევაში, ზორგული თუ ახლო ისტორიიდან ღებული სახე რჩება მკვდარ აბსტრაქციად, მორიალე ლანდად, გულს რომ არ ხვდება და არაფერს ეუბნება ადამიანის სულს. ამისი მაგალითები არც ისე იშვიათად შეეკუნვედრია და ახლაც გვხვდება ჩვენშიც და საერთოდ მთელ მსოფლიო პოეზიაშიც. მაგრამ არიან პოეტები, ვის ლექსშიც სამყარო მუდამ ცოცხალია და მარადისობაც მუდამ იწვანეა. ლექსიდან მას გაეყავხარ გარეთ, მწვანე გაზაფხულის სამყაროში, სადაც ბუჩქნარ-ბუჩქნარ ხოხობი ვეთ ფრთხილებს ცისკარი, სადაც ვაზით დაწერილია დაბლობი თუ ზეგანი, და სიმღერები ასხიათ ვაზებს, ისე როგორც ესხათ უძველეს წიგნში „ქება ქებათა“, ლექსს გაეყავხარ სამყაროში, სადაც ისევ ცოცხალია გვირის დამწყები თე ფაცხების პირველი მომწყვნელი, სადაც ცაზე ელვა წერს სამშობლოსათვის თავგანწირულ თეკდორეს ეპიტაფიას, სადაც საღამოს ბინდში, მთელ მიდამოს მოსდებია რძის სურნელება და ფურისადმი შეძახილი „დიიდო“, „დიიდო“ ისმის, როგორც წარმართთული ლოცვა; ეს არის ქვეყანა, გაშლილი ბინდოროვნით, სადაც დახტიან აცეტებული ხბოები, ჭიხვინებენ კვიცები და მთელი მიდამო სავსეა სინორჩის აყვავების ღუნღული ხმებით.

ჩახდული მკითხველი, ცხადია, უკვე მიხვდა, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ **შოთა ნიშნიანიძის** პოეზიაზე.

როგორ მოხდა, რომ ამ ლექსებში თვით წარმავალი წარუვალად იქცა და ვარდასული დროის ხმები. ფერები და სახეები მარადისობის მკვიდრნი გახდნენ? როგორ ხდება საერთოდ ეს პოეზიაში? ამის ძალა მარტო იმ პოეტს შესწევს, ვინც შეძლებს სულთა ასეთი გადასახლება ერთი დროიდან მეორეში, პოეტის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, განიცადოს, როგორც ბუნებამ მყნობა, როგორც დამტვერვა და განახლება.

დავიმტვერები სხვათა
ხიზერებით,
სხვათა ხილვებით, ძიებით,
ლტოლვით
და მე ვიზრდები, ჩუმად
ვიზრდები
ყოველისმცოდნე და ამხსნელი
ყოველის.

აქ აღარ არის შური, სიავე
კეთილი ალღო როგორც
დამპირდა,
მე აქ დევები დავიქარავე,
აქ წამოვლალე ქართულ
ზღაპრიდან.

დიდი და სტიქიასავით დაუოკებელი პოეტური ფანტაზია და ლონეა საჭირო ამის გასაკეთებლად. ეს ძალა მხოლოდ ისეთ პოეტს შესწევს, რომელიც კაცობრიობის ხსოვნაში ჩარჩენილ სახეებს გააცოცხლებს, თვალის შუქს დაუბრუნებს, ხმას ამოაღებინებს, ცოცხალ ფესვებს მოუძებნიდ ნიადაგში ჩაიტანს, ჩართავს ცოცხალ ფესვთან, როგორც ანტენას მიწასთან, და ჩვენს წინ გამლიღ ეკრანზე—პოეტურ ტილოზე ცოცხლდება ყველაფერი, მოძრაობას იწყებს, ღელავს, მფოთავს, მოქმედებს და იბრძვის იმავე დიდი მიზნის მისაღწევად, რასაც მისი შთამომავალი, ხვალინდელი დღის მშენებელი, ახალი საბჭოთა საქართველოს მშენებელი შესჭიდებია. ამ პოეზიამ არ შეძლება არ მოგხიბლოს, არ დაგიმორჩილოს, თავის გზაზე არ წაგიყვანოს თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და განქარეტის ძალით, იმ იდუმალის წვდომით, რასაც იგრძნობ სტრიქონებს შორის და პუბლიცისტიკის ენით იქნებ ვერც გამოთქვა; ეს ჩუმი შინაგანი მღელვარებაა, სულის თრთოლვაა, სულის მტეხიარობა, ხოლო მას ყოველთვის ვერ მოუძებნი ზუსტად შესატყვის ლოგიკურ ცნებას.

ასეთია ჭეშმარიტად დიდი და მაღალი პოეზიის ძალა. წაიკითხეთ ნიშნიანიძის ლექსი „ილიადას“ მთარგმნელი“, ან მისივე „მიქელანჯელოს მოსე“, ანდაც მისივე ლექსი უტმენზე. პატრიოტული კილო, ქართული სულის ძახილი აქ მაღლდება ზოვადკაცობრიულამდე, და იქ, იმ სიმაღლეზე, ცაში ქართველი პოეტის ხმა შეერთვის დიდ საკაცობრიო სიმფონიას. ქართული მთიბლური ხმიანობს ჰეგზამეტრის გვერდით, „ჭრიან დროშები... ჯარი ირევა... და სისხლის ჟონავს ნისლის ნაფლეთებს, მათი შუბების გრძელი ჩრდილები ბორცვებს ვეფხვებად წამოაფეთებს. ჩანს აჭილევსი, სული ხვიადი, ვეება ტანით ფარს დაყრდნობილი... ამაზრზენია მის ხასიათში რაღაც ქართული და ახლობელი“... ნიშნიანიძის ამ ლექსებში ქართული და ახლობელია ჰომეროსიც და მიქელანჯელოც, უიტმენიც და „ქება ქებათას“ ბრძენი ავტორიც, ხოლო რაღა ითქმის ქართულ სახელებზე, ჩვენს მატიანეზე, საქართველოს ვეფხვიერთ და ჯეჯილიერთ რომ ბრიალებს პოეტის სტრიქონებში!... და ამ ხმა ეპიკურად მრისხანე, ხანაც ნაზად მთრთოლვარე ხმებსა და ფერებს შენი ყურით უსმენ და შენი თვალით ხედავ ნიშნიანიძის წიგნის ფურცლებზე.

ამ წიგნში დახატული სამყარო ბებერი კი არ არის, ძალიან ახალგაზრდაა, ახალგაზრდები არიან არაგველებიც და ხერხეულიძეებიც, სპარტაკიც და ჯორდანო ბრუნოც, თვითონ ბერი თეკდორეც; ისინი შორიდან, უჩინარად, უხილავად უდგანან მხარში დღეკვანდელ კაცს, თანამედროვეს, კომუნისტერი მერმისის მშენებელს და ოქტომბრის მონაპოვრის დამცველს:

ორმოცდაორის თოვლი
წითელი...
ველზე გვთრგავდა ცეცხლი
მუეფარე...
წამოდგა ვიღაც ყრმა
პორტიტველი
და სიკვდილს მკერდით
გადაეფარა.
ვაშა, დიდება ძეგლებს
ასეეტალს...
იბრძოლა... მოკვდა ხალხის
გულისთვის.
აი ასეთი,
აი ასეთი,
აი ასეთი
მწვამს კომუნისტი.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში მუდამ იგრძნობა თანამედროეობის უმძაფრესი განცდა, და ეს განცდა დაფუძნებულია ისტორიის ფილოსოფიაზე, ხალხთა ცხოვრების ზეიერმავალი განვითარების პოეტურ განცდაზე. პოეტი თვითონ, თვითნებურად კი არ აკავშირებს გუშინდელს, დღეგანდელს და ხვალინდელს, არამედ გულით გრძნობს, ხედავს და ხატავს სურათს, სადაც ეს სამნი განუყოფელნი არიან:

ᲐᲛᲑᲝᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲑᲘ

ამხსნელამდე
ბიოლოგიურ ოტალეტ ლაგი
ოტალეტ.
შენი ცხოვრება მხოლოდ
ბრძოლაა
და იერიში, სულ იერიში.
არ შეუშინდე
ხიფათს გუშინდელს
და სროლასავით შედი
მერმისში!

იყავ მებრძოლი, იყავ მოქალაქე, ემსახურე ხალხსა და სამშობლოს, იყავი პარტიის ერთგული ჯარისკაცი, იცხოვრე ისე, რომ შენი სახელი გასროლასავით შევიდეს მერმისში, დაახსომდეს ხალხს, როგორც ახლა მას ახსოვს წარსულის ყველაზე საყვარელი სახელები. აქეთ მოუწოდებს პოეტი თავის მკითხველს — ახალგაზრდასა თუ ჯარმაგს, კაცსა და ქალს, მეფოლადესა თუ მეშახტეს, მხვნელ-მთესველსა თუ მეევნასეს, მასწავლებელსა თუ მეცნიერს, პოეტსა თუ მსახიობს. სიამაყისა და სიხარულის გრძნობა გიპყრობს, როცა შთთა ნიშნიანიძის ახალი წიგნების — „ეპიკური ექოსი“ და „მერანის“ სერიით გამოცემულ ლექსების კრებულის კითხვას დაამთავრებ — ამ წიგნებში ჩანს პოეტი, რომელიც მხარში უდგას მეცხრე ხუთწლედის გმირებს, საბრძოლო მოწოდებასავით ისმის მისი ძლიერი ხმა: „რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც და მსხმა შეერთვის დიდ საკაცობრიო სიმფონიას. ქართული მთიბლური ხმიანობს ჰეგზამეტრის გვერდით, „ჭრიან დროშები... ჯარი ირევა... და სისხლის ჟონავს ნისლის ნაფლეთებს, მათი შუბების გრძელი ჩრდილები ბორცვებს ვეფხვებად წამოაფეთებს. ჩანს აჭილევსი, სული ხვიადი, ვეება ტანით ფარს დაყრდნობილი... ამაზრზენია მის ხასიათში რაღაც ქართული და ახლობელი“... ნიშნიანიძის ამ ლექსებში ქართული და ახლობელია ჰომეროსიც და მიქელანჯელოც, უიტმენიც და „ქება ქებათას“ ბრძენი ავტორიც, ხოლო რაღა ითქმის ქართულ სახელებზე, ჩვენს მატიანეზე, საქართველოს ვეფხვიერთ და ჯეჯილიერთ რომ ბრიალებს პოეტის სტრიქონებში!... და ამ ხმა ეპიკურად მრისხანე, ხანაც ნაზად მთრთოლვარე ხმებსა და ფერებს შენი ყურით უსმენ და შენი თვალით ხედავ ნიშნიანიძის წიგნის ფურცლებზე.

ამ წიგნში დახატული სამყარო ბებერი კი არ არის, ძალიან ახალგაზრდაა, ახალგაზრდები არიან არაგველებიც და ხერხეულიძეებიც, სპარტაკიც და ჯორდანო ბრუნოც, თვითონ ბერი თეკდორეც; ისინი შორიდან, უჩინარად, უხილავად უდგანან მხარში დღეკვანდელ კაცს, თანამედროვეს, კომუნისტერი მერმისის მშენებელს და ოქტომბრის მონაპოვრის დამცველს:

ორმოცდაორის თოვლი
წითელი...
ველზე გვთრგავდა ცეცხლი
მუეფარე...
წამოდგა ვიღაც ყრმა
პორტიტველი
და სიკვდილს მკერდით
გადაეფარა.
ვაშა, დიდება ძეგლებს
ასეეტალს...
იბრძოლა... მოკვდა ხალხის
გულისთვის.
აი ასეთი,
აი ასეთი,
აი ასეთი
მწვამს კომუნისტი.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში მუდამ იგრძნობა თანამედროეობის უმძაფრესი განცდა, და ეს განცდა დაფუძნებულია ისტორიის ფილოსოფიაზე, ხალხთა ცხოვრების ზეიერმავალი განვითარების პოეტურ განცდაზე. პოეტი თვითონ, თვითნებურად კი არ აკავშირებს გუშინდელს, დღეგანდელს და ხვალინდელს, არამედ გულით ხედავ და ხატავს სურათს, სადაც ეს სამნი განუყოფელნი არიან:

ᲐᲛᲑᲝᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲑᲘ

ამხსნელამდე
ბიოლოგიურ ოტალეტ ლაგი
ოტალეტ.
შენი ცხოვრება მხოლოდ
ბრძოლაა
და იერიში, სულ იერიში.
არ შეუშინდე
ხიფათს გუშინდელს
და სროლასავით შედი
მერმისში!

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲪᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ — შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი. ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. წიგნის დიდი ნაწილი ეთმობა შოთა რუსთაველსა და მის პოემას. ცალკეული ნარკვევები ეძღვნება ქართული საერო მწერლობის ძეგლებსა და ავტორებს (ჩახრუხაძე, იოსებ თბილელი, ფეშანგი, რუსუდანიანი, ბესიკი და გურამიშვილი). წიგნის მეორე განყოფილებაში დაბეჭდილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული გამოკვლევები, წერილები და გამოხმაურებები ქართული მწერლობის სხვადასხვა საკითხზე. გამომცემლობის რედაქტორი ე. ბათიაშვილი, მხატვარი გ. ნადირაძე. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — შოთა ნიშნიანიძის ახალი ნაშრომი, „ეროვნული ფერწერა ამოსავლიდან ბოლამდე“ ეძღვნება ბრძოლით. შოთა სიხმირები ღუღდეს ფოლადად, მათი ფიქრები თესე, დაახვავებდე ხიდებს, ხომალდებს, ბრძოლებს, კამბალებს, ჰეკებს. აი ანატიკი ვენეც დოვლათს გპარავს, ვინც ჩამორჩენას ფარავს, არა და არა! ათასჯერ არა! კიდევ და კიდევ — არა!“

ახლა, მეცხრე ხუთწლედის დღეებში, თვითონ ეპოქა მოითხოვს პოეტისაგან ყოს ტრიბუნა, მომწოდებელი, დამრაბეველ ი, შთამაგონებელი; სწორედ ასეთია შოთა ნიშნიანიძე, ამაზე მეტყველებენ ჰეროიკული სულით გამსჭვალული მისი ლექსები „კომუნისტებმა“, „ბურის ომ ალეკეთზე“, „საართველოს ფალავანი“, „შეიბ მახვილი“, „ჩემი თაობის ბიოგრაფია“, „ვაზის სიმფონია“, „სიტყვა თანამედროვეს“, „დაბადება“, „დიდიეორის ჯონი“, „მეეგობარ პოეტს“ და მრავალი სხვა. რთული და მრავალფეროვანია ნიშნიანიძის პოეტური სამყარო — ის მარტო ტრიბუნი და მომწოდებელი ოლია; ის, ამავე დროს, მხატვარია, რომლის ტილოზე ცოცხლობს და მოძრაობს მთელი საქართველო, ჩანს ადამიანის გულის უკეთილშობილური მისწრაფებანი, ჩანს ყველაფერი, რაც დღეს ადამიანს უყვარს, რასაც ის ზრდის, ეფერება, ეალერსება.

პოეზიის მრავალზე მრავალ განსაზღვრათა და განმარტებათა მორის, რომლებიც მოუცია თვითონ პოეტებსაც და ესთეტიკოსებსაც, არის ერთი ასეთი ფორმულირებაც, ოომელიც ეკუთვნის ჰემლინ გარლენდს. ის ამბობს, რომ ნამდვილი ხელოვნება არის წარმოქმნა სილამაზისა და ბრძოლა. **სილამაზე,** მისი თქმით, ეს მარად ახალგაზრდა არისტოკრატი ქალია, რომელიც ცოლად წაპყოლია ახალგაზრდა, ღონიერ პლებეის, გლეხს და ამ პლებეის სახელად **აზრი** ჰქვიან: მათ ოჯახში იბადება ყველაზე ადამიანური და ადამიანის სიყვარულით გამთბარი ლიტერატურა. მათ ოჯახში იბადება ახალი სიტყვა, რომელსაც ფესვები ღრმად გაუდგამს შშობლიურ მიწაში და რომელსაც აქვს ძალა განაახლოს და ახალი ელვარება შეძატოს თვით მიწის სილამაზეს.

ასეთია შოთა ნიშნიანიძის პოეზია.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ:

ᲠᲐ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲐᲛᲑᲝᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲑᲘ ჩინეთის ხელისუფალთა ოფიციალუომა წართმადგენელმა დაუდასტურა ეკონსალტეთ, რომ ძოხდა ახალი დახმარება ჩინეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსის განცხადება, მდგომარეობა მოწესრიგდა. ნვეულებრივად მეშაობენ საწარმოები, დაწესებულებები, მაღაზიები, დედაქალაქის აეროპორტი, მოსახლეობას უზრუნველყოფენ სურსათ-სანო

გმირების გახსენება

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი
დ. მაჭავარიანი

მამაცობა მოედანი — ასე დაარქვეს იმპიალოვის კულტურისა და დასვენების პარკის მოედანს მოსკოველმა მშრომელებმა. აქ ყოველ წელიწადს გმირთა მოსაგონებლად დიდი სამამულო ომის მონაწილენი იკრიბებიან. სულ მალე მოედანზე მარმარილოს კვარცხლბეკზე ლეგენდარულ საბრძოლო ტანკს „ტ-34“ და „კატიუშას“ აღმართავენ.

1938 წელს აქ სპორტული მოედანი იყო... დილიდან საღამომდე ახალგაზრდობა ჯანმრთელობას გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით იკაჟებდა. ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული სპორტსმენის, კრიშენ საბჭოთა კავშირის რამდენჯერმე ჩემპიონის კონსტანტინე გრადობოლოვის სექციაში ორი ჭაბუკი ჩაირიცხა — ვიქტორ ტალალიხინი და ლეო შილაკაძე. ასე ბიჭობენს ერთმანეთი რუსმა და ქართველმა ვაქაცებმა. დღეს ერთის გმირობისა და სიმამაცის ამბავი ყველა ჩვენთაგანმა იცის, მეორე კი პოლონეთის მიწაში განისვენებს. ომმა დააცილა ერთმანეთს მეგობრები. 1941 წ. 27 ოქტომბერს საბრძოლო გაფრენიდან აღარ დაბრუნდა ვიქტორი.

იმ შორეულ, ქარიშხლიან დღეებში, როცა სამშობლოს ელვის სისწრაფით მოედო ტალალიხინის გმირობა, ლეო შილაკაძე მოსკოვის მისადგომებს იცავდა. 20 წლის ჭაბუკი უკვე უფროსი ლეიტენანტი იყო. დღეები დღეებს მისდევდა. საბჭოთა არმია მტერს დასავლეთისაკენ მიერეკებოდა. აქ, პოლონეთის მიწა-წყალზე გმირული სიკვდილით დაეცა ქართველი ვაჟკაცი. ეს იყო 1944 წლის 1 ოქტომბერს. იგი ქალაქ ლუკლას ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.

ჩვენ გმირის მამასთან, მხატვარ სერგო შილაკაძესთან ვნახეთ ფრონტიდან გამგზავნილი გაცრეცილი ფურცელი, წერილები.

ლეო შილაკაძე ოთხჯერ დაიჭრა. საბრძოლო დავალებების სამაგალითო შესრულებისათვის დაჯილდოებული იყო სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენებით, ორი წითელი ვარსკვლავის, ალექსანდრე ნეველის ორდენებითა და მრავალი მედლით. იგი დაზვერვის უფროსად მუშაობდა და მტრის ღრმა ზურგში მოქმედებდა.

კეთილი ღიმილი

საგამოფენო დარბაზებში

თითქმის ერთი თვის განმავლობაში მოსკოვის ლიტერატურთა ცენტრალური სახლის საგამოფენო დარბაზებში მნახველთა საკადრო ბოლო არ უჩანდა. საქართველოს დამსახურებული მხატვრის გიგლა ფირცხალავას ეერსონალური გამოფენა კეთილი ღიმილით ეგებებოდა მოსკოველებს. ფართოდ იყო წარმოდგენილი მხატვრის გრაფიკა, მისი მეგობრული შარჟები, პორტრეტები, პლაკატები, ქანდაკება, კერამიკა და ფერწერა.

ცენტრალური პრესა, მოსკოვის გაზეთები ფართოდ გამოეხმაურა ქართველი მხატვრის გამოფენას. აი რას წერდა გაზეთი **„იზვესტია“**: „საქართველოს დამსახურებული მხატვარი გიგლა ფირცხალავა ყოველთვის თავისი თავის ერთგული რჩება, დაკვირვების დიდ უნარს იჩენს, ადამიანების ფსიქოლოგიის კარგ მცოდნედ წარმოუვიდგება და ამავე დროს, რაც ნთავარია, მაყურებელს თავისი განუმეორებელი ღიმილით... უხვად აჯილდოებს“.

გაზეთ **„სოვეტსკაია კულტურას“** ფურცლებზე საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ბ. ეფიმოვი წერდა: „ცხოვრებაში გ. ფირცხალავა კეთილი, მხიარული ადამიანია. ასეთია იგი თავის ხელოვნებაშიც. მისი იუმორი გვხიბლავს ნათელი და ზუსტი ხასიათებით, უტყუარი ალეოთი. დიდი მეგობრობა აკავშირებს გიგლას მოსკოვთან, მოსკოველ მხატვრებთან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მხატვრის გამოფენას ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში ასეთი დიდი ინტერესით შეხვდა მოსკოველი მაყურებელი. ეს გვახარებს ყველას, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს და გვინდა ჩვენს მეგობარს ახალ-ახალი გამარჯვებები ვუსურვოთ“.

„ვეჩერნაია მოსკვა“ წერდა: „გ. ფირცხალავას იუმორისტულ ჩანახატებში ყოველთვის იგრძნობა მართალი, ცხოვრებისეული მასალა, ხასიათების მდიდარი ფანტაზია, ლაკონიურობა და ზედმიწევნით სწორი ფსიქოლოგიური ანალიზი“...

გ. ფირცხალავას პერსონალური გამოფენის დახურვის დღეს სოციალისტური შრომის გმირმა მწერალმა **კონსტანტინე სიმონოვმა** თქვა: „ძალიან ხშირად დაღლილი, დამაშვრალი მოვაშურებ ხოლმე ამ დარბაზებს, სადაც გიგლა ფირცხალავას ნამუშევრებია გამოფენილი. და ყოველთვის ხდება პატარა საოცრება: ვუყურებ მის ნახატებს, ჯერ გაღიმებას, ვიწყებ, მერე თავს ვეღარ ვიკავებ და ეს ამოდენა კაცი ვდგავარ მარტო და ვიცინი გულიანად...“

გაჭიანურებაც არის და გაჭიანურებაც...

აღმაშფოთებელია!

ეს სამწუხარო ამბავი ჯერ კიდევ 1958 წელს დაიწყო. ნათესავება, მეზობლე